

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

----- 2025 წ.

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა“ (შემდგომში – „დამკვეთი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი მელანაშვილის სახით, და მეორეს მხრივ შპს „-----“ (შემდგომში – „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, შპს „ავერსი-ფარმას“ გაუწიოს ----- მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (შემდგომში მომსახურება).

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანაზღაურების პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს ---- -- ლარს დღგ-ს ჩათვლით. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შეასრულოს სრულად, ჯეროვნად და ხარისხიანად.

3.2 სამუშაოების შესრულება დამკვეთის მოთხოვნებისა და შესაბამისი წესების, ნორმების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე (მათ შორის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს/უფლებამოსილი პირის თანხმობის/მითითებების/ნებართვის შესაბამისად), მოცემულ სფეროში არსებული მეთოდის და ინსტრუქციების მიხედვით, ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსაგან მხოლოდ თანხმობის/ნებართვის მიღების შემდგომ და მის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში, შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზიანი/ზარალი და გადაიხადოს დაკისრებული ჯარიმ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.3 უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი და დროული შესრულება. შესრულებულ სამუშაოებზე გააფორმოს დამკვეთთან მიღება-ჩაბარების აქტი, მიღება-ჩაბარების აქტის არ არსებობის შემთხვევაში შემსრულებელს არ აუნაზღაურდება შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

3.4 შემსრულებელს უფლება აქვს მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება.

3.5 დამკვეთი ვალდებულია, განახორციელოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადაში.

3.6 დამკვეთი უფლებამოსილია, დაესწროს მომსახურების გაწევის უზრუნველყოფის პროცესს, გააკეთოს მითითებები, რომლებიც სავალდებულოა შემსრულებლისათვის.

4. სამუშაოების შესრულების ვადა

4.1. მხარეები შეთანხმდნენ სამუშაოს განხორციელების შემდეგ ვადებზე:

4.1.1. შემსრულებელი ვალდებულია დაიწყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

4.1.2. შემსრულებელი ვალდებულია დაასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო არაუგვიანეს 20--- წლის -----.

4.2. შემსრულებელი უფლებამოსილია ვადაზე ადრე დაასრულოს და ჩააბაროს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

5.2. დამკვეთს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლის მიერ გასაწევი სამუშაოს შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ან/და ზარალის ანაზღაურება, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი ან/და ზარალი.

5.3. შემსრულებლის წარმომადგენლის მიზეზით სამუშაოს შესრულების პერიოდში შემსრულებელი ვალდებულია, აღმოფხვრას მიყენებული ზიანი 2 დღის განმავლობაში საკუთარი სახსრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს, მოსთხოვოს შემსრულებელს და ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია, გადაიხადოს ჯარიმა, მიყენებული ზიანის პროპორციულად.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებლის მიერ სამუშაოების მიმდინარეობისას არ იქნება დაცული წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები და აღნიშნულის გამო ადმინისტრაციული ორგანოს/შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დამკვეთს დაეკისრება რაიმე სახის ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმა ან სხვა სახის პასუხისმგებლობა) შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დამკვეთს ადმინისტრაციული სახდელის სახით გადახდილი თანხა ან/და ადმინისტრაციული ორგანოს/შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დავალებით შესრულებული სამუშაოს ღირებულება და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით გადახდილი თანხა ან/და განხორციელებული ქმედებისათვის გაწეული ხარჯი.

5.5. შესრულების ნებისმიერი ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაუხადოს დამკვეთს პირგასამტეხლო _ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი შესრულების ვადებს გადააცილებს 10 (ათი) დღით დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე, არ გადაიხადოს სამუშაოთა ღირებულება, ამასთან, მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაუხადოს დამკვეთს პირგასამტეხლოსთან ერთად ჯარიმა _ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%-ის ოდენობით და დააბრუნოს ავანსად გადახდილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მესამე პირების მხრიდან რაიმე სახის ხელშემლას, რომელიც შეაფერხებს შემსრულებლის მიერ შესასრულებელ სამუშაოებს, შემსრულებელი აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს დამკვეთს, ხოლო გაცდენილი დღეები შემსრულებელს ვადაგადაცილებაში არ ჩაეთვლება.

5.7. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე რაიმე ფორმით შესთავაზებს დამკვეთის თანამშრომელს საჩუქარს/წახალისებას, რათა თანამშრომელმა მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სტიმულირება, წინწაწევა ან ამ მომსახურების შესყიდვა, დამკვეთი უფლებას იტოვებს მოითხოვოს და ამ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა ხელშეკრულების სრული ღირებულების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარი.

6. ფორს-მაჟორი

- 6.1.** მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებათა ზემოქმედების შედეგებით. ასეთი გარემოების დასტურს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.
- 6.2.** მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს 3 (სამი) დღის განმავლობაში მათი წარმოქმნის დღიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უფლება აქვს ექნება მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან განმათავისუფლებელ გარემოებაზე.
- 6.3.** დაუძლეველი ძალის გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები.

7. კონფიდენციალურობა

- 7.1.** მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად და მხარეთათვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში.
- 7.2.** ვალდებულია კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების მოშლის/შეწყვეტის შემდეგაც.

8. განსაკუთრებული პირობა

- 8.1.** წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსრულებელი/გამყიდველი ადასტურებს, რომ ის არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში, ოფშორში რეგისტრირებულ პირს, საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ პირს (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა), მიკრო ბიზნესის სტატუსის მატარებელ პირს, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირს ან/და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე პირს. შემსრულებელი ადასტურებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია უტყუარია. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აღმოჩნდება, რომ შემსრულებელი ზემოაღნიშნული რომელიმე სტატუსის მქონე პირია ან გახდება, რის გამოც დამკვეთს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი (მათ შორის საგადასახადო ჯარიმის/სანქციის დაკისრება, გადახდილი თანხის ხარჯებიდან ამოღება და ა.შ.), შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ანაზღაუროს აღნიშნული ზიანი/ზარალი სრული მოცულობით დამკვეთის წერილობითი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

9. დავის გადაწყვეტა

- 9.1.** მხარეები შეეცდებიან ყველა წარმოშობილი დავა და უთანხმოება გადაწყვიტონ ურთიერთმოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ დავა ვერ გადაწყდება მისი წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში მოლაპარაკების გზით, მხარეები იტოვებენ უფლებას თავიანთი ინტერესების დასაცავად მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

- 9.2. მხარეები თანხმდებიან, რომ დამკვეთის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე-1¹ პუნქტის შესაბამისად.
- 9.3. ყველა ის საკითხი რომელიც არ არის რეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

10. დასკვნითი დებულებები

- 10.1. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.
- 10.2. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზანი.
- 10.3. შემსრულებელი აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.
- 10.4. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
- 10.5. შემსრულებელი წერილობით ატყობინებს დამკვეთს, წარმოშობიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, იმ გარემოებების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა თავისი ვალდებულებების შესრულებაზე: რეორგანიზაცია, რეკვიზიტების შეცვლა, გადახდისუუნარობა ან გადახდისუუნარობის აღბათობა, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვა და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი არ შეატყობინებს ან არადროულად შეატყობინებს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, ვალდებულია დამკვეთს აუნაზღაუროს ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.
- 10.6. ხელშეკრულება ფორმდება, ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის გადასაცემად.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:

შპს „ავერსი-ფარმა“

მის: ქ.თბილისი, დ.ადამაშენებლის გამზ. #148

ს/კ 211386695

სს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა GE69TB7159136120100002

შემსრულებელი:

შპს -----

სს „----- ბანკი“

ბანკის კოდი: -----

ა/ა -----

გენერალური დირექტორი:

_____/გ. მელანაშვილი/

დირექტორი:

_____/--. -----/